N 3530/02
20/06/2022

3530-02-2-202206201531
https://edocument.ge/AdjaraGov/public

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს

ბატონ გია აბულაძეს

ბატონო გია,

თქვენი 2022 წლის 3 ივნისის N09-02-16/308 კორესპონდენციით წარმოდგენილ კითხვასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N27 განკარგულებით შექმნილია სახელმწიფოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ე.წ. ოცნების ქალაქში) მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის 2022 წლის 30 მაისის N10 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისად განისაზღვრება ე.წ „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ პროგრამის (შემდგომში პროგრამა) მოსარგებლე ოჯახები.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N27 განკარგულებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მოწონების თაობაზე” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 9 ივნისის N39 განკარგულებით მოწონებულ იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

რეკომენდაციის თანახმად, ე.წ „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრა ოჯახი, რომლის შემადგენლობა აღწერილია და

რეგისტრირებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და მათ მიერ დაკავებულ საცხოვრისს მინიჭებული აქვს ნომერი (2019 წლის მდგომარეობით).

ასევე, დადგინდა პროგრამაში მონაწილეობის გამომრიცხავი კრიტერიუმები (გარემოებები), რომელთა არსებობის შემთხვევაში ოჯახი ვერ ისარგებლებს პროგრამით, კერძოდ, პროგრამით ვერ ისარგებლებს:

ა) ოჯახი, რომელსაც 2019 წლის 1 იანვრიდან საკუთრებაში გააჩნია თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) მდებარე უძრავი ქონება;

ბ) ოჯახი, რომელმაც 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ გაასხვისა თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) მდებარე უძრავი ქონება;

გ) ოჯახი, რომელსაც 2017-2021 წლებში უწყვეტად მიღებული აქვს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი და მეტი შემოსავალი;

დ) ოჯახი, რომელმაც ისარგებლა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამით;

ე) ოჯახი, რომელსაც სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცა საცხოვრებელი ბინის, სახლის, მიწის, განსახლების კომპენსაცია არანაკლებ 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი ან/და საცხოვრებელი ფართი.

ამასთან, სამუშაო ჯგუფის მიერ, პროგრამით მოსარგებლე ოჯახებისათვის, პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, დადგინდა შემდეგი რიგითობა:

1. საცხოვრებელი კომპლექსის მეორე ეტაპის მშენებლობისათვის და მიმდინარე მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი სივრცის (გზა, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა და ა.შ) მოწყობისათვის გამოსათავისუფლებელ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები (ტერიტორიული პრინციპით);

2. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი;

3. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

4. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია სპეციალური სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე პირი (პირი, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, თუმცა მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს ხანგრძლივ ან/და მუდმივ სამედიცინო მომსახურებას);

5. მარტოხელა მშობელი;

6. მარჩენალდაკარგული;

7. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი;

8. მრავალშვილიანი ოჯახი (3 და მეტი არასრულწლოვანი შვილი);

9. ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არაუმეტეს 120 000 სარეიტინგო ქულით;

10. მრავალსულიანი ოჯახი (7 და მეტი წევრი);

11. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია ომის ვეტერანი ან მასთან გათანაბრებული პირი;

12. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია საპენსიო ასაკის პირი;

13. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი;

14. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი;

15. იპოთეკით დაზარალებული ოჯახი (ოჯახი, რომელმაც იპოთეკის გამო დაკარგა საცხოვრებელი სახლი).

ასევე, გაცნობებთ, რომ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონით დამტკიცებულია ,,სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა“ ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი“-ს ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის თაობაზე, რომელიც მოიცავს 2022–2024 წლებს. ამ ეტაპისათვის სრულდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პირველი ეტაპის მშენებლობა (582 ბინა) და შემუშავებულია მშენებლობის მეორე ეტაპის სამშენებლო დოკუმენტის პროექტი. საპროექტო სამუშაოების კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვა ასევე მოიცავს ე.წ. ,,ოცნების ქალაქის“ ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის შედგენას, რომლის ფარგლებში შემუშავებული კონცეფცია, საცხოვრებელ კომპლექსთან ერთად, ითვალისწინებს სკოლის, საბავშვო ბაღისა და სარეკრეაციო სივრცეების განთავსებას.

წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N27 განკარგულებას, სამუშაო ჯგუფის 2022 წლის 30 მაისის N10 საოქმო გადაწყვეტილებასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 9 ივნისის N39 განკარგულებას.

დანართი: ,, 13 ‘’ ფურცელზე.

პატივისცემით,

ჯაბა სურმანიძე

მთავრობის აპარატის უფროსი